პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 144 (3121)

27 1966 წ. ივლისი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი



# VIII მსოფლიო ჩემპიონატი

ENGLAND 1966 [illegible] VIII [illegible]

## ინგლისი გავიდა ფინალში

ინგლისი — პორტუგალია, ეს იყო თანაბარი ძალის მეტოქეთა შესანიშნავი მომენტებით აღსავსე მატჩი, რომელშიც ყველაფერი იყო ჩაქსოვილი — ფეხბურთელთა უმაღლესი ტექნიკა, გონებამახვილურ კომბინაციათა სიმრავლე, ორივე კართან ძალზე დაძაბული მომენტები. საერთოდ, უმაღლესი კლასის ფეხბურთის ყველა კომპონენტის დემონსტრირება.

შეხვედრა მასპინძლების მძლავრი დაწოლით დაიწყო და პორტუგალიელთა მეკარე პერეირა სულ ხშირად ებმება თამაშში. რაც შეეხება ეუსებიოს, იგი მეტოქის მცველებს მკაცრ მეურვეობაში ჰყავდათ აყვანილი და სახელგანთქმული ფორვარდი ინგლისელთა მეკარის ზენქსის „საშფლობელოში" იშვიათი სტუმარი იყო.

ასე იყო პირველი ტაიმის მე-30 წუთამდე, როცა პერეირა შორს გამოვიდა კარიდან, უხეიროდ, პირდაპირ ბ. ჩარლტონს „დაუდო" ფეხზე ბურთი და ამ უკანასკნელმა ცარიელ კარში გაგზავნა იგი.

გატანილმა ბურთმა თითქოს გამოაფხიზლა პორტუგალიელი ფეხბურთელები. ისინი სულ უფრო ხშირად სტუმრობდნენ მეტოქის საჯარიმო მოედანზე, უფრო გააქტიურდა ეუსებიოც და ახლა ზენქსს მოუხდა ძნელი ბურთების მოგერიება.

შესვენების შემდეგ თამაში გათანაბრდა, მაგრამ მაინც შეიმჩნეოდა ინგლისელთა ერთგვარი უპირატესობა და 33-ე წუთზე ბ. ჩარლტონმა უძლიერესი დარტყმით კარის მარცხენა მაღალ კუთხეში გაზარდა ანგარიში — 2:0. 3 წუთის შემდეგ ინგლისელთა ერთ-ერთმა მცველმა თავის საჯარიმო მოედანზე ხელით ითამაშა და ეუსებიომ ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო — 2:1. უკანასკნელ წუთზე პორტუგალიელებს ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების აშკარა შესაძლებლობა — ზენქსის პირისპირ გასულმა ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ბურთი ააცილა კარს.

**მაშ, ასე. მომავალ შაბათს ფინალია — ინგლისი — გფრ.**

## ხვალ!

**მატჩი III ადგილისთვის**

**სსრ კავშირი — პორტუგალია**

ახლახან ხაბაროვსკში დამთავრებულ სსრ კავშირის თასზე მხატვრულ ტანვარჯიშში წარმატებით გამოვიდა ცნობილი სპორტსმენი ლ. სავინკოვა. ს უ რ ა თ ზ ე თქვენ ხედავთ მას ერთ-ერთი ვარჯიშის შესრულებისას.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.



## [illegible] საათი...

◆ ტ ო კ ი ო, 26 ივლისი. იაპონელ და საბჭოთა მოჭიდავეების მეორე საერთაშორისო შეხვედრა გაიმართა ტოკიოში. ამხანაგური მატჩი იაპონიის დედაქალაქის სპორტსმენებთან საბჭოთა მოჭიდავეებმა მოიგეს ანგარიშით 5,5:1,5 (კლასიკურ ჭიდაობაში), 3:1 (სამბოში). თავისუფალ ჭიდაობაში შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 3,5:3,5.

◆ ბ ე რ ი ე, 26 ივლისი. საფრანგეთის ამ ქალაქში გამართულ მოცურავეთა შეჯიბრებაზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტსმენმა ქალმა კ. მუირმა 200 მეტრის ზურგზე გაცურვას მოანდომა 2.27,1. ეს შედეგი 0,8 წამით უკეთესია ამერიკელ კ. ფერგიუსონის მსოფლიო რეკორდზე.

◆ **ხარკოვი, 26 ივლისი.** ამ ქალაქის კორდოდრომზე დამთავრდა სსრ კავშირის XXXV ჩემპიონატი ავიასამოდელო სპორტში. მოსკოველ ს. ჟიდკოვის თვითმფრინავმა 230 კმ სისწრაფე განავითარა საათში და ჩემპიონობაც მას ხვდა წილად. ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა ლენინგრადელი ვ. ვართანოვი (225 კმ). საკორდო პილოტირების მოდელებში ყველაზე საუკეთესო იყო სპორტის დამსახურებული ოსტატის ი. სიროტკინის (მოსკოვი) ნამუშევარი. ჩემპიონატი დამთავრდა „საჰაერო ბრძოლით". შეჯიბრების ამ სახეობაში ჩემპიონი გახდა მოსკოველი ინჟინერი ვ. ლიტვინოვი. გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: მოსკოვი, უკრაინა და ა. შ.

✦ **სტუმრად იაპონელ კოლეგებთან**

✦ **კვლავ „დაეცა" კ. ფერგიუსონის მსოფლიო რეკორდი**

✦ **სისწრაფე საათში — 230 კილომეტრი**



სტარტზე...

ფოტო ბ. [illegible]

# ცნობები მინსკიდან

**მინსკი** (ტელეგრაფით, ჩვენი სპეც. კორ.). უნივერსიადის გუნდურ ჩათვლაში წელს შედეგები ორგვარად ჯამდება: ჩათვლა სწარმოებს ცალკე რესპუბლიკათა სპორტულ დელეგაციებს შორის და ცალკე „ბურევესტნიკის" საბჭოებს შორის. უკვე დამთავრებული 4 სახეობის შემდეგ I ადგილზეა მოსკოვის ნაკრები, II — რსფსრ, III — საქართველო. „ბურევესტნიკის" გუნდებს შორის ადგილები ასე განაწილდა: რსფსრ, უკრაინა, მოსკოვი, ბელორუსია, საქართველო.

როგორ მიმდინარეობს შეჯიბრება სპორტის ცალკეულ სახეობებში?

**კლასიკური** ჭიდაობა. I წრე ჩვენმა ათლეტებმა წარმატებით გაიარეს. უმჩატეს წონაში ლ. დავითაია ისვენებდა. ზ. უგრეხელიძემ (მჩატე) დაამარცხა მოსკოველი ვ. პოგორელოვი, ო. იგაძემ (ქვემსუბუქი) წმინდად მოუგო მოლდაველ ს. სტოლიარს, დ. გვანცელაძემ (მსუბუქი) აშკარა უპირატესობით სძლია უკრაინელ ე. გოროხოვს. გამარჯვებები მოიპოვეს აგრეთვე ო. თარგამაძემ, კ. ლოლუაშვილმა, თ. ქურციკიძემ და მ. ჩიმურკაშვილმა.

**ჩოგბურთი.** ტურნირში ჩვენს ღირსებას საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენები იცავენ. მათ სტარტზევე წააგეს შეხვედრა ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან (4:5) და ახლა, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ IX ადგილს მიაღწევენ. ჩოგბურთელები ჩვენს სპორტულ დელეგაციას ქულას ვერ მისცემენ, რადგან ჩათვლაში მხოლოდ I-VI ადგილები შედის.

**მოჭადრაკეთა** ტურნირი თავდაპირველად 4 შესარჩევ ზონაში ჩატარდა. საქართველოს სპორტსმენებმა თავის ზონაში I ადგილი დაიკავეს და ახლა 8 ფინალისტთა შორის იმყოფებიან. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოჭადრაკეები იცავენ (რ. ჯინჯიხაშვილი, თ. ლომაია, თ. კიკიანი, ა. ბოკუჩავა, მ. თხელიძე და ც. კახაბრიშვილი). ჯერჯერობით წინ ჩვენი გუნდია, რომელიც ტურნირს 10,5 ქულით ლიდერობს. საქართველოს მოჭადრაკეებმა მოუგეს ერევნის უნივერსიტეტს (4:2), ციმბირის მეტალურგიულ ინსტიტუტს (3,5:2,5) და ფრედ დაამთავრეს შეხვედრა მოსკოვის უნივერსიტეტთან (3:3). II-III ადგილს ერთნაირი შედეგით (10-10 ქულით) იყოფენ მოსკოვისა და ერევნის უნივერსიტეტების კოლექტივები.

**სატრეკო** ველოსპორტის პროგრამა ფინალურ ტურნირამდე, მოსკოვში ჩატარდა. საქართველოს ველოსიპედისტებმა ჩვენს დელეგაციას 16 ჩასათვლელი ქულა მისცეს.

**ჯ. ინუქიძე**

## [illegible]

● **ლოს-ანჟელოსი, 25 ივლისი.** მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდსმენი, ავსტრალიელი რ. კლარკი პირველი იყო როგორც 5, ისე 10 კილომეტრზე რბენაში. 5 კმ-ზე მისი დროა 13.28,4, ხოლო 10 კმ-ზე — 28.13,0. მიმდინარე სეზონის საუკეთესო დრო იქნა ნაჩვენები 400 მეტრზე რბენაში. გაიმარჯვა ამერიკელმა ლ. ევანსმა — 45,2. კვლავ გააუმჯობესა აშშ-ის რეკორდი სამხტომში ა. უოკერმა. ამჯერად იგი 16,74 მეტრზე გადახტა. მსოფლიო რეკორდსმენმა რ. მეტსონმა ბირთვი ტყორცნა 20,32 მეტრზე. ოლიმპიურმა ჩემპიონმა მ. რენდმა (ინგლისი) სიგრძეზე ხტომაში აჩვენა 638 სმ. სიმაღლეზე ხტომაში თავი ისახელეს ავსტრალიელმა ქალებმა მ. ბრაუნმა და რ. ვუდჰაუსმა — 175 სმ.

● მ ო დ ე ნ ა, 25 ივლისი. იტალიის, შვეიცარიისა და უნგრეთის მძლეოსანთა მატჩში ნაჩვენები იქნა რამდენიმე მაღალი შედეგი: 100 მ იტალიელმა ს. სკუაცეროშ გაირბინა 10,3 წამში. 400 მ გაიმარჯვა იტალიელმა რ. ფრინოლიმ — 50,1 (მიმდინარე სეზონში საუკეთესო დრო ევროპაში). ევროპის ჩემპიონმა, უნგრელმა ვ. ვარიუმ ბირთვი ტყორცნა 19,02 მეტრზე, ხოლო მისმა თანამემამულემ, მსოფლიო რეკორდსმენმა დ. ჟივოცკიმ ურო ტყორცნა 67,16 მეტრზე.

● **სარაუსი,** 25 ივლისი. ესპანეთის ამ საკურორტო ქალაქში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება მარათონულ რბენაში. გაიმარჯვა ცნობილმა ეთიოპიელმა მძლეოსანმა ა. ბიკილამ. მან მანძილი დაფარა 2 საათსა, 20 წუთსა და 28,8 წამში. უახლოეს მეტოქეს ესპანელ კ. პერესს ბიკილამ 5 წუთზე მეტი მოუგო.

● ვ ა რ შ ა ვ ა, 25 ივლისი. პოლონეთის კურორტ სოპოტში დამთავრდა ხელბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრების ბოლო დღეს უნგრეთის ქალთა ნაკრებმა მოუგო მასპინძლებს 34:21 და პირველი პრიზი მოიპოვა. II ადგილზე გავიდა სსრ კავშირის ნაკრები, რომელმაც ამ დღეს დაამარცხა რუმინელები — 21:5. რუმინელები III ადგილზე დარჩნენ. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: პოლონეთის, პოლონეთის ახალგაზრდული და დანიის ნაკრები გუნდები.

● **სტოკჰოლმი, 25 ივლისი.** 250 კბ. სმ-ის მანქანებით მოტოკროსში მსოფლიო ჩემპიონატის მე-12 ეტაპი მოიგო მიმდინარე ჩემპიონატის ლიდერმა შვედელმა ტ. ჰალმანმა. იგი ლიდერობს ყველა ეტაპის ჯამშიც. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, ბელგიელი ჟ. რობერი ავადმყოფობის გამო არ გამოდიოდა. მსოფლიო ჩემპიონი მოსკოველი ვ. არბეკოვი პირველ ცდაზე მე-9 იყო, ხოლო II ცდაზე დისტანციიდან გავიდა.

● ჰ ა ა გ ა, 25 ივლისი. 500 კბ სმ-ის მანქანებით მოტოკროსში მსოფლიო ჩემპიონატის მე-11 ეტაპი კვლავ შვედელმა რ. ტიბლინმა მოიგო. 11 ეტაპის ჯამში I ადგილზეა პ. ფრიდრიხსი (გდრ), რომელიც ბევრად უსწრებს მომდევნო ადგილზე მყოფ სპორტსმენს. ამ ეტაპზე მან ტრავმა მიიღო და შეჯიბრება ვერ დაამთავრა. საბჭოთა სპორტსმენები ვ. პოგრებნიაკი და ი. გრიგორიევი შესაბამისად VIII-IX ადგილებზე გავიდნენ.

● **ვარშავა,** 25 ივლისი. აქ სამ დღეს მიმდინარეობდა პოპულარული შეჯიბრება მოტოსპორტში „ტატრების რეიდი", რომელშიც გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა. საბჭოთა გუნდი III ადგილზეა. პირად ჩათვლაში საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო — ვ. გორიუნკოვ VIII ადგილზეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პერიპეტიები და სინამდვილე

ბათუმის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე, რომელიც ამას წინათ ჩატარდა, თავი მოიყარა ხუთმა თბილისელმა, ერთმა აზერბაიჯანელმა და ათმა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელმა. მათგან 8 საერთაშორისო ოსტატი, 6 სპორტის ოსტატი და 2 ოსტატობის კანდიდატი იყო. ამის მიხედვით დადგინდა საერთაშორისო ოსტატის წოდების ნორმატივიც — 9,5 ქულა.

ტურნირის ახალგაზრდულმა შემადგენლობამ (მხოლოდ მ. უიტელკი იყო ორმოცდათერთმეტისა, სხვების ასაკი 36 წელს არ აღემატებოდა) განაპირობა ბრძოლის სიმძაფრე. საკმარისია ითქვას, რომ გათამაშებული 120 პარტიიდან 67 მოგება-წაგებით დამთავრდა. მეტოქენი 53 პარტიაში შეთანხმდნენ ყაიმზე.



ლიდერობისთვის ბრძოლას თავიდანვე „ცეცხლი წაუკიდა" ჭაბუკებში მსოფლიო ჩემპიონმა — 18 წლის ბ. კურაიცამ, რომელმაც სტარტზე ზედიზედ მოიგო 6 პარტია. IV ტურამდე მას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ბ. გურგენიძე, რომელიც VIII ტურში გაუტოლდა კიდეც ლიდერს და თავად ჩაუდგა ტურნირს სათავეში. XII ტურში ჩვენს ოსტატს მხარში ამოუდგა აზერბაიჯანის ჩემპიონი ვ. ბაგიროვი, XIII ტურში მათ ბ. კურაიცაც დაეწია.

XIV ტურის შემდეგ, როცა ბ. გურგენიძე (დ. ველიმიროვიჩთან) და ვ. ბაგიროვი (რ. ჯინჯიხაშვილთან) დამარცხდნენ, ხოლო ბ. კურაიცა ყაიმს დასჯერდა, I ადგილის საკითხი თითქოს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ დასკვნითმა ტურმა ისევ შეცვალა მდგომარეობა. ბ. კურაიცამ მოულოდნელად წააგო უნგრელ ი. ფელდთან, ყაიმით დაამთავრეს შეხვედრა ბ. გურგენიძემ და ვ. ბაგიროვმა, მათ შეუერთდათ გდრ-ის ჩემპიონი ლ. ცინი, რომელიც კარგად თამაშობდა ფინიშზე. ამრიგად, I ადგილი მოიპოვა ოთხმა მოჭადრაკემ ერთად.

ეს კანონზომიერიც არის, თუ გავითვალისწინებთ გამარჯვებულთა ცოდნას, გამოცდილებას, ბრძოლისუნარიანობასა და წარმატებისაკენ მათ სწრაფვას.

გასაკვირი როდია ბ. გურგენიძის კარგი გამოსვლა. იგი დიდი ხანია საერთაშორისო კლასის მოჭადრაკეა. საკმარისია ითქვას, რომ გურგენიძემ ხუთჯერ ითამაშა სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალში, ოთხჯერ სტუდენტთა მსოფლიო გუნდურ პირველობაში, ხოლო სოფიის 1959 და თბილისის 1965 წლის საერთაშორისო ტურნირებში I ადგილი დაიკავა.

ბათუმის ტურნირი ბ. გურგენიძემ შესანიშნავად დაიწყო და 8 შეხვედრაში 6,5 ქულა მოაგროვა. რამდენიმე შეხვედრა შთამბეჭდავად მოიგო. ბოლო 7 პარტიაში კი მოულოდნელად შეიცვალა. კვლავ მუყაითად თამაშობდა, ძალას არ ზოგავდა, მაგრამ ყაიმის მეტს მაინც ვერაფერს მიაღწია, ერთხელ წააგო კიდეც.

როცა ამ მოჭადრაკის თამაშს აკვირდები, ამჩნევ, რომ იგი ყოველ პარტიას უდიდესი სერიოზულობით ეკიდება, ცდილობს ღრმად ჩასწვდეს პოზიციას, ამოიკითხოს მისი საიდუმლოება. ყოველივე ამას დიდი გონებრივი და ნერვული დაძაბულობა მოსდევს. ბ. გურგენიძემ ესოდენ დიდ დატვირთვას ფიზიკურად, ცხადია, ვერ გაუძლო. ამ ტურნირში მან გარკვეულ წარმატებას მიაღწია. მთავარი კი მაინც ისაა, რომ ქართველმა მოჭადრაკემ ოფიციალურად შეასრულა საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი. ეჭვი არ არის, შემდგომში იგი გაცილებით მეტი რწმენით ითამაშებს და კიდევ უფრო მაღალ შედეგსაც მიაღწევს.

ლიდერობისათვის ბრძოლაში თბილისელ მოჭადრაკეთაგან მონაწილეობა მიიღო მხოლოდ საქართველოს ჩემპიონმა რ. ჯინჯიხაშვილმა; რომელმაც VI ადგილი დაიკავა. კარგად თამაშობდნენ ა. ბუსლაევი (VIII-XI ადგილები), თ. გიორგაძე (XIII) და ე. უბილავა (XV).

გაოცებთ რ. ჯინჯიხაშვილის თამაში. უეჭველია, იგი დიდი საჭადრაკო ნიჭითაა დაჯილდოებული, მაგრამ სრულიად არა აქვს მებრძოლის ჩვევები. ვერ გაიგებ, როდის თამაშობს ნამდვილი ძალით. მაგალითად, მან კრიტიკულ მომენტში წააგო მოსაგები პარტია ბ. კურაიცასთან. ფინიშზე, როცა 9,5 ქულის მოგროვება და საერთაშორისო ოსტატის წოდების მოპოვება შეეძლო, შესანიშნავად მოუგო ვ. ბაგიროვს, ხოლო მეორე დღეს დ. ველიმიროვიჩთან მიამიტად გაება მახეში და ლაზიერი დაკარგა.

რ. ჯინჯიხაშვილი პერსპექტიული ოსტატია. მთავარია მოერიოს თავის ხასიათს და ნებისყოფა დაიმორჩილოს.

ნიჭიერი ჭაბუკია თამაზ გიორგაძე. მას კარგი მომავალი აქვს, მაგრამ 18 წლის ყმაწვილს უკვე ახლავე ღალატობს ნერვები. სტარტზე გიორგაძემ ადვილად მოსაგები პოზიცია წააგო ლ. ცინთან და გული გაუტყდა. მომდევნო ხუთ შეხვედრაში მხოლოდ 0,5 ქულა მიიღო, მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ იმედები გაუცრუვდა, აუღელვებლად დაიწყო თამაში და, თავად განსაჯეთ,— ბოლო 7 შეხვედრაში 4,5 ქულა მოაგროვა.

ა. ბუსლაევი ერუდირებული ოსტატია, მაგრამ მებრძოლის მტკიცე ხასიათი არც მას აქვს. კრიტიკულ მომენტში ხშირად ეჭვი იპყრობს, ორჭოფობს. ეს კი ზედმეტად ღლის. მას ყურში ჩასწვდა ვიღაცის ნათქვამი — ბუსლაევი წააგებს აუტსაიდერ მ. უიტელკისთანო და მართლაც დამარცხდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ტურნირში მოკრძალებული ადგილი დაიკავა, 15 წლის ე. უბილავამ ყველა მოხიბლა ვაჟკაცური შემართებით. ჭაბუკი მოჭადრაკის მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი ესწავლა უფროსი კოლეგებისგან და ისწავლა კიდეც.

ტურნირის ყველა მონაწილის აზრით, ე. უბილავა კარგი ოსტატი დადგება, თუ ბეჯითად განაგრძობს მეცადინეობას. მთავარია, რომ ელიზბარს გაუტეხელი ხასიათი და ჭადრაკისადმი დაუცხრომელი სიყვარული აქვს.

ბათუმის ტურნირის ეს ასპარეზობა ნამდვილი „უნივერსიტეტი" იყო ჩვენი მოჭადრაკეებისთვის. შესანიშნავი ტრადიცია არც შემდგომში უნდა დაირღვეს, ხშირად უნდა გავაპაექროთ ჩვენი ოსტატები მოძმე ქვეყნების მოწინავე მოჭადრაკეებს.

**თ. გიორგაძე.**

* * *

სურათზე: ბ. გურგენიძე.
ფოტო ა. ჩანტლაძისა.

# „კავკასიის" რალი — კარგი წამოწყება იქნება

ამას წინათ საბერძნეთში მოეწყო XIV ტრადიციული საერთაშორისო რალი, რომელსაც „აკროპოლისი" უწოდეს. წინა შეჯიბრებებისგან განსხვავებით, აღნიშნული რალის ტრასა საგრძნობლად იყო გართულებული. სპორტსმენებს უნდა გაევლოთ სხვადასხვა პროფილის 3051-კილომეტრიანი ტრასა.

„აკროპოლისის" რალში 105 ეკიპაჟი მონაწილეობდა, მათ შორის 94 ეკიპაჟი — ტურისტული ავტომანქანების ჯგუფში, ხოლო 11 ეკიპაჟი — დიდი ტურიზმის ჯგუფში. შეჯიბრების მონაწილეთა შორის 43 ავტომანქანა საბერძნეთიდან იყო, 19 — შვეციიდან, 13 — ინგლისიდან, 6 — გფრ-დან, 4 — გდრ-დან, 4 — ნორვეგიიდან, 2 — იტალიიდან და ა. შ. საბჭოთა კავშირი რბოლაში 7 ეკიპაჟით გამოდიოდა. მათ შორის 3 ავტომანქანა „მოსკვიჩ 408" იყო და 4 — „ვოლგა".

„აკროპოლისის" სტარტი 105 ავტომანქანამ აიღო, მაგრამ დისტანცია მთლიანად დაამთავრა და დამატებითი სიძნელეები გაიარა მხოლოდ 37 ეკიპაჟმა. ცალკეული ქვეყნების მიხედვით ჩათვლაში შევიდნენ: საბერძნეთის 13 ეკიპაჟი, შვეციის — 8, ინგლისის — 5, გდრ-ის — 3, სსრ კავშირის — 2, გფრ-ის — 2, ნორვეგიის, პოლონეთისა და კენიის 1-1 მანქანა. რბოლის ყველაზე უფრო რთულ ტრასად 15 სპეციალური სამთო უღელტეხილი ითვლებოდა. მათი წინასწარ დადგენილ დროში გადალახვა ვერც ერთმა ეკიპაჟმა ვერ შეძლო. საუკეთესო შედეგს ამ მონაკვეთებზე ინგლისელმა ჰოპკირკმა მიაღწია, რომელმაც უშეცდომოდ განვლო 14 მონაკვეთი.

რალის დებულების თანახმად, პრემიები და სპეციალური ჯილდოები ენიჭებოდათ მხოლოდ I-III ადგილზე გამოსულ სპორტსმენებს მანქანების კლასისა და ჯგუფების მიუხედავად.

ჩემპიონატში I ადგილი დაიკავა შვეციის ეკიპაჟმა (ვ. სოდერსტრომი და გ. პალმა), II ადგილზე გამოვიდნენ ინგლისელები რ. კლარკი და ბ. მელი, III ადგილი წილად ხვდათ კვლავ ინგლისელ ავტომობილისტებს რ. ჰოპკირკსა და რ. გრეილინს. საბჭოთა ეკიპაჟებიდან ჩათვლაში მხოლოდ „მოსკვიჩის" ტიპის 2 მანქანა შევიდა. ს. ტენიშევამ და ვ. კისლიხმა 22-ე ადგილი დაიკავეს, ი. ლესოვსკიმ და ვ. ეგოროვმა — 31-ე. მაგრამ ჩვენი ავტომობილისტები 1001-1600 კბ სმ კლასის მანქანებში (სულ შეჯიბრებაში 38 ასეთი ეკიპაჟი მონაწილეობდა) შესაბამისად მე-8 და მე-10 ადგილებზე გავიდნენ.

საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობამ გამოამჟღავნა მათ მომზადებაში არსებული ნაკლოვანი მხარეები. ამდენად, „აკროპოლისი" ჩვენი ავტომობილისტებისთვის გამოცდილების კარგი სკოლა იყო.

ჩვენს ქვეყანაში ყველა პირობა არსებობს მსგავსი საავტომობილო რალის მოსაწყობად. ასე მაგალითად, მიზანშეწონილად მიმაჩნია საკავშირო რალი — „კავკასიის" მოწყობა. მისი მარშრუტი დაახლოებით ასეთი უნდა იყოს: თბილისი — ორჯონიკიძე — გროზნო — მახაჩყალა — დერბენტი — ბაქო — ევლახი — სტეპანაკერტი — გორისი — ერევანი — სევანი — კიროვაკანი — ლენინაკანი — ახალქალაქი — სურამი — თბილისი.

იმედია, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების დოსააფ-ის კომიტეტები და ავტომოტოსპორტის ფედერაციები მხარს დაუჭერენ ამ წამოწყებას და 1967 წლიდან — ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის თარიღიდან, საფუძველს ჩაუყრიან ავტომობილისტთა საინტერესო საკავშირო შეჯიბრებას — „კავკასიის" რალს.

**ა. აბაბაბოვი,**
**სსრ კავშირის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი „აკროპოლისის" რალში.**

* * *

**სურათზე: საბჭოთა სპორტსმენები მიემგზავრებიან სავარჯიშოდ.**



# ტყიბულელები კარგი მასპინძლები აღმოჩნდნენ

ეს რამდენიმე თვეა ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდები გაცხოველებით ემზადებიან საბჭოთა კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის.

საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის ახალ საცურაო აუზში საუკეთესო პირობები შეიქმნა საწყალოსნო სახეობებში ნაყოფიერი მეცადინეობისათვის, მაგრამ ზაფხული დადგა და მწვრთნელებიცა და სპორტსმენებიც საგონებელში ჩაცვივდნენ.

საქმე ის გახლავთ, რომ თბილისში არ აღმოჩნდა არც ერთი 50-მეტრიანი აუზი, საუცხოო ბაზა სანაპიროზე დაიხურა, „განთიადის" აუზი კი, ალბათ მხოლოდ ზამთრის სეზონისთვის იქნება მზად. ვერა და ვერ გადაწყდა სათანადო სპორტული ბაზების მშენებლობის საკითხი სოხუმში, ბათუმში, ქუთაისსა და ფოთში. აღმოჩნდა, რომ სადღეისოდ გამოსადეგი აუზი ჩვენს რესპუბლიკაში მხოლოდ ტყიბულში გვაქვს.

— შეიძლება თუ არა გამოდგეს ტყიბულის ბაზა დიდი სპორტისათვის? — აი, ეს კითხვა მაფიქრებდა, როცა ამ ქალაქის გზას გავუდექი.

პირველი, რაც ტყიბულში ჩასვლისთანავე ვიგრძენი, აღტაცება იყო. შესანიშნავი, ყოველმხრივ კეთილმოწყობილი საცურაო აუზი კარგად შერწყმია მშვენიერ პარკს. ირგვლივ ამწვანებული მთები აზიდულან, გზა სულ ზევით და ზევით მიიმართება. უნებურად გამახსენდა XVIII ოლიმპიური თამაშები, გამახსენდა, როგორ ცდილობდნენ იაპონელები მათი ქვეყნის ბუნების მთელი სიმშვენიერე გვეგრძნო. პირდაპირ უნდა ითქვას, იაპონიას არ ჰყოფნის ფერთა ის სიუხვე და „მთის სასწაულები", რითაც ბუნებამ საქართველო დააჯილდოვა.

გავეცანი ხალხს, სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, ქალაქის აქტივს. ყველგან ვგრძნობდი ხელისშეწყობის დიდ სურვილს. გულისხმიერებით მოგვისმინეს, ყველაფერი აწონ-დაწონეს, დახმარება აღგვითქვეს.

რამდენიმე დღის შემდეგ საქართველოს სპორტკავშირის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ტყიბულში გაეგზავნა სპორტსმენები საწვრთნელი ვარჯიშებისათვის. ეს რომ გაიგეს, ტყიბულელებმა რამდენიმე დღეში შეაკეთეს აუზი, მოაგვარეს წყლის გათბობის საკითხი, მოაწყეს კალათბურთის მოედნები. ერთი სიტყვით, მონდომება არ დაიშურეს, რომ ნაკრების ყველა წევრისთვის კარგად მომზადებისა და დასვენების პირობები შეექმნათ.

ნაკრების მწვრთნელებმა ვალდებულება იკისრეს ერთ თვეში ასწავლონ ცურვა 200 ტყიბულელ ბავშვს. ასე ჩაეყარა საფუძველი მაღაროელთა და სპორტსმენთა მეგობრობას.

**ს. კალანდაძე.**
**რესპუბლიკის მთავარი მწვრთნელი საწყალოსნო სპორტში.**

# გაიმარჯვეს თბილისელებმა

გორში დამთავრდა საქართველოს მოსწავლეთა პირად-გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში. მონაწილეობდნენ თბილისის I და II, აჭარის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ზუგდიდისა და ცხაკაიას ნაკრები გუნდები. თვითეულ გუნდში იყო 4 ჭაბუკი და 2 გოგონა.

ჩემპიონის სახელი დაისაკუთრეს თბილისელმა მოჭადრაკეებმა. II ადგილი დაიკავა თბილისის II გუნდმა, III — აჭარის კოლექტივმა.

პირად ჩათვლაში უძლიერესის სახელი ცალკეულ დაფებზე დაისაკუთრეს: ც. კობაიძემ, გ. ციხელაშვილმა, ა. ლიპარტელიანმა, გ. ვარდოსანიძემ, თ. ხარიტონაშვილმა (ყველანი — თბილისი), ა. მეტრეველმა (ქუთაისი) და ვ. ვეფხიშვილმა (თბილისი).

**გ. გოზალიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# VIII მსოფლიო ჩემპიონატი

ENGLAND 1966

## ჩემპიონატის „ლაურეატები“

მართალია, მსოფლიო ჩემპიონატი ჯერ არ არის დამთავრებული, მაგრამ ტურნირის ზოგიერთ „ლაურეატთა“ გამოყოფა უკვე შეიძლება (საზომად აღებულია ჯგუფური ტურნირების შედეგები).

- **უველაზე უდისციპლინო გუნდი** — არგენტინა, ნაწილობრივ ესპანეთი,
- **ყველაზე დისციპლინირებული** — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები.
- **ყველაზე სიმპათიური** — მექსიკა.
- **ყველაზე პოპულარული თავდამსხმელი** — ჯერ პელე, შემდეგ ეუსებიო.
- **ყველაზე მოულოდნელი შედეგი** — უნგრელთა გამარჯვება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონზე და ურუგვაელთა თამაში.
- **ყველაზე ელეგანტური გუნდი** — ბულგარეთის ნაკრები,
- **ყველაზე შეკრული ანსამბლი** — სსრ კავშირის ნაკრები,
- **ყველაზე ნერვული გუნდი** — იტალია,
- **ყველაზე ეფექტური კოლექტივი** — პორტუგალია,
- **ყველაზე ნაკლებად ეფექტური გუნდი** — ბულგარეთი.

# ოქროს ქალღმერთის ირგვლივ

### ეუსებიო: „ჩვენ ტუსაღები ვართ“

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია პორტუგალიის გუნდი, რომელმაც დაამარცხა ძლიერი მოწინააღმდეგეები და აჩვენა საუკეთესო, შემტევი ფეხბურთი. დაბა უილმსლოუში, სასტუმრო „სტენილენდსში“, სადაც პორტუგალიელები ცხოვრობენ, ნამდვილი შემოსევა იყო რეპორტიორების, ფეხბურთის მოყვარულების, სუვენირებისა და ავტოგრაფების მოყვარულთა მხრივ.

„მე ცერბერის როლის შესრულება მიხდება!. — განაცხადა პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელმა ოტო გლორიამ. მწვრთნელმა თავის ორ თანაშემწეს დაავალა იყარაულონ სასტუმროს კართან და არ შეუშვან შენობაში არავინ. გარდა ამისა, თვითეულ პორტუგალიელ ფეხბურთელს უფლება აქვს გამოვიდეს სასტუმროდან მხოლოდ მაშინ, თუ იგი „ყარაულებს“ წარუდგენს სპეციალურ საშვს იმავე გლორიას ხელმოწერით.

— ჩვენ ტუსაღები ვართ, ოტო გლორია კი ჩვენი კეთილი მეციხოვნე. — განუცხადა ჟურნალისტებს ცნობილმა პორტუგალიელმა ფორვარდმა ეუსებიომ. — მაგრამ მისი მდგომარეობა გასაგებია: ასეთ ძლიერ მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დისციპლინა.

### 8 შეკითხვა კარს მიღმა

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთმა „იუნგე ველტმა“ ასეთი სათაურით გამოაქვეყნა ანკეტა, სადაც იგი კითხვით მიმართავს მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ეროვნული ნაკრების გუნდების მეკარეებს:

1. რომელი ფორვარდები მიგაჩნიათ ყველაზე ძლიერად?
2. თქვენი ხობი?
3. თქვენის აზრით, რომელი მეკარეა საუკეთესო ფეხბურთის ისტორიაში?

აი, მსოფლიოს გამოჩენილი მეკარეების პასუხები:

**იოაკიმ კარვალიო. პორტუგალია. 24 წლის. ეროვნულ ნაკრებშია 1965 წლიდან.**

1. პელე (ბრაზილია), ბ. ჩარლტონი (ინგლისი), გრივსი (ინგლისი), ალბერტი (უნგრეთი), ეუსებიო, საბედნიეროდ, არაა საშიში, ვინაიდან ჩვენ ერთ გუნდში ვთამაშობთ.
2. ჩემი საყვარელი გართობაა გავუგზავნო გულშემატკივრებს წერილები და ფოტოები.
3. იაშინი (სსრ კავშირი), შოშკიჩი (იუგოსლავია) და ასევედო (პორტუგალია).

**ანტალ სენტმიხაი. უნგრეთი. 26 წლის. ეროვნულ ნაკრებშია 1961 წლიდან. თამაშობდა ჩილის ჩემპიონატში.**

1. ეუსებიო, პელე, ბანიშევსკი.
2. მაგიდის ჩოგბურთი და წიგნები.
3. ყველა მეკარეებს, რომლებსაც კი ვიცნობ, ჯობია იაშინი.

**ლევ იაშინი. სსრ კავშირი. 37 წლის. ეროვნულ ნაკრებშია 1954 წლიდან. მონაწილეობდა 1958 და 1962 წლების მსოფლიო ჩემპიონატებში.**

1. ჩემთვის სახიფათოა ყველა თავდამსხმელი, ხოლო თუ ვილაპარაკებთ ახლანდელი ჩემპიონატის მონაწილეებზე — ალბერტი, ეუსებიო, ზეელერი (გფრ), ბ. ჩარლტონი.
2. თევზაობა.
3. საუკეთესო მეკარეა ჩემი მასწავლებელი ალექსი ხომიჩი, რომელიც მთლიანად „დამნაშავეა“ იმაში, რომ მე დიდ ფეხბურთში მოვხვდი.

**ჰანს ტილკოვსკი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. 27 წლის. ეროვნულ ნაკრებშია 1961 წლიდან. მონაწილეობდა ჩილის მსოფლიო ჩემპიონატში.**

1. არავინ სხვა, პელეს გარდა.
2. კინოფილმები.
3. იაშინი. იგი ჩემთვის სამაგალითოა და დიდად ვამაყობ, რომ მასთან მეგობრობა მაქვს.

### როუზი პასუხობს ლორენცოს

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ სანქცია მისცა, რათა ყოველი მატჩის შემდეგ ფეხბურთელებს გაუსინჯონ სისხლი იმის დასადგენად, სარგებლობენ თუ არა ისინი დოპინგით. ამ გადაწყვეტილებას დიდი უკმაყოფილებით შეხვდა ზოგიერთი მოთამაშე და მწვრთნელი. მათ შეურაცხმყოფელად ჩათვალეს ის, რომ თვითეული თამაშის შემდეგ ყოველი გუნდიდან კენჭისყრით გამოჰყოფენ 2 ფეხბურთელს სისხლის ანალიზისთვის. საანალიზო სინჯარებს უკეთებენ საგანგებო ნიშანს და აგზავნიან გამოსაკვლევად.

პირველი ასეთი შემოწმება გაიარეს ინგლისელმა ბ. მურმა, ჯ. ჩარლტონმა და ურუგვაელებმა გონზალესმა და კაეტანომ. ახლა შემოწმებულ მოთამაშეთა რიცხვმა გადააჭარბა 30-ს. მას შემდეგ, რაც სისხლი ორჯერ აუღეს არგენტინელ ფეხბურთელებს, პროტესტით გამოვიდა არგენტინის ნაკრების მწვრთნელი ჯ. ლორენცო. მან განაცხადა:

„ჩვენ ვთამაშობთ პატიოსნად, ღია კარტებით და ამასვე ველით სხვებისგან. კონტროლი — ესაა საწყენი, არაჯენტლმენური გადაწყვეტილება“.

ლორენცოს პასუხი გასცა თვით ფიფა-ს პრეზიდენტმა ს. როუზმა: ჯობია ჩვენ ბრალი დაგვდონ იმაში, რომ ჯენტლმენები არა ვართ, ვიდრე იმაში, რომ ნარკოტიკული საწამლავით ვანაგვიანებთ სპორტის ისეთ შესანიშნავ და პოპულარულ სახეობას, როგორიცაა ფეხბურთი. ჩვენ კარგად ვიცით, რომ მრავალ ქვეყანაში ფეხბურთელები იღებენ დოპინგს და ამიტომაც დავაწესეთ კონტროლი. თუ რომელიმე გუნდის მოთამაშეებს სისხლში აღმოაჩნდათ ნარკოტიკები, ყოველგვარი კომპრომისის გარეშე, ულმობლად აღვუკვეთავთ ამ გუნდს თამაშის უფლებას და ამ შემთხვევაში მოვიქცევით, როგორც ჭეშმარიტი და არა ყალბი ჯენტლმენები.

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში ფეხბურთელებსა და მწვრთნელებზე ნაკლებად დაკავებული არც ჟურნალისტები არიან. მათ სამუშაო ყელამდე აქვთ: წერენ საგაზეთო ანგარიშებს, ესაუბრებიან სპეციალისტებს, ეძებენ ცხელ-ცხელ ამბებს და ყველაფერ ამას რედაქციებს გადასცემენ. თავიანთი პირდაპირი მოვალეობის გარდა, ჟურნალისტები, მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში, ე. წ. საზოგადოებრივი საქმიანობითაც არიან დაკავებული.

ასე მაგალითად, ჩემპიონატზე აკრე-

### „იდეალური ნაკრების“ ერთი ვარიანტი

დიტებული ყოველი ჟურნალისტი ვალდებულია შეაფასოს (10-ბალიანი სისტემით) ესა თუ ის მოთამაშე. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ტურნირის დამთავრების შემდეგ დადგინდეს 11 უძლიერესი ფეხბურთელის გვარი, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, მსოფლიოს „იდეალური ნაკრები“.

როგორც იუგოსლავიის სპორტული გაზეთი „სპორტი“ იუწყება, ჯგუფური ტურნირების დამთავრების შემდეგ მსოფლიოს იდეალური ნაკრები ასე გამოიყურებოდა: იაშინი (სსრ კავშირი), სანჩისი (ესპანეთი), ტროჩე (ურუგვაი), ლიმა (ბრაზილია), სალვადორე (იტალია), ვორონინი (სსრ კავშირი), ბენე (უნგრეთი), ბ. ჩარლტონი (ინგლისი), ეუსებიო (პორტუგალია), პელე (ბრაზილია), მასი (არგენტინა).




ანგარიში გათანაბრდა.

ნახ. გ. იაშვილისა.

# პელე და გრივსი — კარის სადარაჯოზე

როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში მოთამაშეთა შეცვლა არ შეიძლება. მიიღო ფეხბურთელმა ტრავმა, ან გააძევეს მოედნიდან — გუნდი 10 კაცის შემადგენლობით განაგრძობს ბრძოლას. რა თქმა უნდა, ყოველი გუნდისთვის ფეხბურთელის „დაკარგვა“ საგრძნობი დანაკლისია, მაგრამ განსაკუთრებით მძიმეა — უმეკაროდ თამაში. იგი თითქმის 100-პროცენტიან მარცხს ნიშნავს.

ამიტომ, ყოველი გუნდის შემადგენლობაში არის მინდვრის ერთი მოთამაშე, რომელმაც საჭიროების შემთხვევაში მეკარე უნდა შეცვალოს. ინგლისის ნაკრებში ასეთი ფუნქციები დავალებული აქვს გრივსს.

ბრაზილიის ნაკრებს საამისოდ საქმე არ დადგომია, მაგრამ საგანგებო შემთხვევისთვის მას პელე ჰყავდა შემონახული. როგორც ამბობენ პელე-მეკარე არაფერში ჩამოუვარდება პელე-თავდამსხმელს. ეს, რა თქმა უნდა, გაზვიადებულია, მაგრამ პელე თურმე მართლაც შესანიშნავად იცავს კარს. თავის ქვეყანაში იგი ხშირად მეკარის როლში გამოდის.

# მაყურებლები... მაყურებლები

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისში, ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატისადმი ინტერესი განუზომლად დიდია, სტადიონებზე თავისუფალ ადგილებს რამდენსაც გნებავთ იმდენს ნახავთ. საორგანიზაციო კომიტეტი ამას ხსნის იმით, რომ ჯერ ერთი, ბილეთების ფასი საკმაოდ მაღალია და ფეხბურთის რიგით გულშემატკივარს არა აქვს საშუალება დაესწროს თამაშს, შემდეგ კი, სტადიონების სალაროებს წარმატებით უწევს კონკურენციას... ტელევიზია.

აი, რომელ თამაშს რამდენი მაყურებელი დაესწრო:

კსდრ — ჩილი — 13.792 მაყურებელი, ინგლისი — ურუგვაი — 75.000, გფრ — შვეიცარია — 36.000, ბრაზილია — ბულგარეთი — 47.308, სსრ კავშირი — კსდრ — 23.000, მექსიკა — საფრანგეთი — 55.000, ესპანეთი — არგენტინა — 42.738, უნგრეთი — პორტუგალია — 29.886, ჩილი — იტალია — 27.190, ურუგვაი — საფრანგეთი — 40.000, შვეიცარია — ესპანეთი — 32.000, უნგრეთი — ბრაზილია — 51.387, მექსიკა — ინგლისი — 85.000, არგენტინა — გფრ — 46.587, პორტუგალია — ბულგარეთი — 25.436, სსრკ — იტალია — 27.793.

# პიკლზი — „კინოვარსკვლავი“

ფეხბურთის სამყაროში ცნობილი ფინია პიკლზი, რომელმაც ოქროს ქალღმერთი დაკარგვას გადაარჩინა, მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში მეტად პოპულარული „პიროვნებაა“. იგი „ინტერვიუს აძლევს“ კორესპონდენტებს, პოზებს იჭერს ფოტოობიექტივის წინ და სარეკლამო ბიზნესში მონაწილეობს.

პიკლზმა, თავისი უშეცდომო ალღოს წყალობით უდარდელი ცხოვრება შეიქმნა. როგორც იუგოსლავიური გაზეთი „სპორტი“ იუწყება, ფინიამ ჯერჯერობით ჯილდოს სახით 160 ათასი დოლარი მიიღო. ყველაზე მეტად პიკლზს სარეკლამო ფირმები ეფერებიან.

სულ მოკლე ხანში ფინია კინოვარსკვლავი გახდება. ლონდონის ერთ-ერთმა კომპანიამ გადაწყვიტა გადაიღოს ფილმი ჯაშუშების ცხოვრებაზე. ამ ფილმში მთავარ როლს პიკლზი შეასრულებს.




თბილისის ავეჯის კომბინატ „განთიადში“ მუდამ ხალხმრავლობაა ფეხბურთში VIII მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაშების სქემასთან. კამათობენ, აზრს გამოთქვამენ, თვითეულს სურს წინასწარ განსაზღვროს მომავალი შეხვედრების შედეგები.

• • •

სურათზე: ფინალური თამაშებისადმი მიძღვნილი ფოტოსტენდი.

ფოტო დ. ლაფაჩისა.



# საზეიმოვან იუბილეს მიეძღვნა

თბილისის სპორტულ ბაზებზე ერთ კვირას ასპარეზობდნენ საქართველოს კვების მრეწველობის მუშაკთა I სპარტაკიადის მონაწილეები. ღონისძიება ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა.

## დაძაბულ ბრძოლაში

თითქმის ორ საათს უსხდნენ შაშის დაფას ჯ. ჯავახია (თელავის პურკომბინატი) და შ. კინწურაშვილი (ქუთაისის მინის ტარის ქარხანა). პარტია განსაკუთრებით საპასუხისმგებლო გახლდათ. ფინალამდე თელაველებმა დაამარცხეს ბორჯომელები, მახარაძელები (ერთნაირი ანგარიშით — 3:0), გორელები — 2,5:0,5 და თბილისელები — 2:1. ქუთაისელთა აქტივში იყო გამარჯვება მახარაძის, ბორჯომის, თბილისისა და გორის გუნდებთან (შესაბამისად 3:0, 2:1, 2:1, 2,5:0,5). ამრიგად, გადამწყვეტი მატჩის წინ თელაველებს 1 ქულით მეტი ჰქონდათ ქუთაისელებზე. მაგრამ ეს ქულა ქალთა ასპარეზობისას დაკარგეს, როცა ქუთაისელმა შ. თევდორაძემ მოუგო თელაველ მეტოქეს. ვაჟთა ერთი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა და ახლა უკვე ჯავახიასა და კინწურაშვილის მატჩის შედეგზე იყო დამოკიდებული, როგორ განაწილდებოდა გუნდური I-II ადგილები. პარტია ჯავახიამ მოიგო და საბოლოო გამარჯვება თელაველებმა იზეიმეს.

## თელაველებმა იმარჯვეს

თბილისის საკონდიტრო კომბინატის დამხმარე მუშას, მაგიდის ჩოგბურთელ ვ. გორგიშელს ბედმა გაუღიმა: წილისყრის შედეგად, იგი პირდაპირ მოხვდა ნახევარფინალში, სადაც იოლად მოუგო თელაველ ზ. ჩუბინიძეს — 2:0, ფინალში მას მახარაძის ჩაის მე-2 ფაბრიკის ხარატის შეგირდი ზ. სამსონაძე შეხვდა. გორგიშელმა III ადგილი დაიკავა შარშან მოსწავლეთა რესპუბლიკური შეჯიბრების I ჯგუფში, სამსონაძემ კი ყველას აჯობა II ჯგუფში. ახლა მათ შორის მწვავე ბრძოლა გაჩაღდა. ბოლოს მაინც გორგიშელმა იმარჯვა — 2:0 (21:14, 21:11).

მესამე პარტიის თამაში არც ქალთა ერთეულებში გამარჯვებულს — თელავის ღვინის ქარხნის მუშას — მ. ლობჟანიძეს დასჭირდა. მან ყველა შეხვედრა „მშრალი" ანგარიშით (2:0) მოიგო და ჩემპიონობა დაისაკუთრა.

გუნდური პირველობა თელაველებმა მოიპოვეს.

## მატჩის ბედს წყვეტს... 2 წამი

საინტერესოდ წარიმართა თბილისის ხორცკომბინატისა და გორის საკონსერვო ქარხნის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ფინალური შეხვედრა. თავდაპირველად გორელებმა სწრაფი ტემპი შესთავაზეს მეტოქეებს და დაწინაურდნენ. შეხვედრის პირველი ნახევარი მათ სასარგებლოდ დამთავრდა — 38:27. მეორე ტაიმში თბილისელებმა წამოიწყეს მწვავე კონტრშეტევები, გორელები ცდილობდნენ ტემპი დაეგდოთ, მაგრამ ამ ტაქტიკურმა ხერხმა არ გასჭრა. თამაშის დამთავრებას 2 წამი რომ უკლდა, ანგარიში გათანაბრდა. ეს 2 წამიც კარგად გამოიყენეს მასპინძლებმა და საბოლოოდ მატჩიც მოიგეს — 59:57.

## უფერული შედეგები

ლენინის სახელობის სტადიონის სარბენ ბილიკებსა და სექტორებზე სამ დღეს გასტანა მძლეოსანთა შეჯიბრებამ. სამწუხაროდ, მონაწილეთა რიცხვი 40-ს არ აცილებია. ბუნებრივია, ასეთ „ხალხმრავალ ასპარეზობას" არც შედეგები მოჰყვებოდა მაინცდამაინც ბრწყინვალე. II თანრიგის ნორმატივი შეასრულა მხოლოდ ერთმა მონაწილემ, 9 კი III თანრიგს დასჯერდა. მათ შორის არც ერთი ქალი არ იყო. I ადგილი დაიკავა თბილისის ცხიმკომბინატის კოლექტივმა.

## ასაკის მიუხედავად

აგჭალის შუშის ქარხნის მოჭადრაკეთა გუნდის კაპიტანი გ. სურმავა 51 წლისაა, მაგრამ დაფასთან ჭაბუკივით იბრძვის. სწორედ მან მოუტანა გუნდს ძვირფასი ქულები. იღბლიანი სტარტი ჰქონდათ მის თანაგუნდელებს ვ. ეძგვერაძესა და ნ. ალდუხოვას. აგჭალელებმა I ადგილი მოიპოვეს გუნდურ შეჯიბრებაში. ჯერ იყო და თბილისის შამპანკომბინატის გუნდი დაამარცხეს — 3:0, შემდეგ ქუთაისის მინის ტარის ქარხნის მოჭადრაკეებს მოუგეს — 2:1 და ბოლოს, ფრედ (1,5:1,5) დაამთავრეს შეხვედრა მახარაძის ჩაის ფაბრიკის სპორტსმენებთან.

## მხოლოდ მესამე პარტიაში

ფრენბურთელ ვაჟთა ტურნირში 5-მა კოლექტივმა მიიღო მონაწილეობა. გადამწყვეტ შეხვედრამდე ლიდერობდნენ თბილისის საკონდიტრო კომბინატისა და მახარაძის ჩაის ფაბრიკის გუნდები. სწორედ მათ შორის მატჩს უნდა გადაეწყვიტა პირველობის ბედი. ბრძოლა მეტად დაძაბული გამოდგა. I პარტიაში თბილისელებმა იმარჯვეს — 15:12. II პარტიაში მახარაძელებმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს მეტოქეები და წონასწორობა აღადგინეს — 1:1. გადამწყვეტ, III პარტიაში სტუმრებმა დიდი მონდომებით და ალმაცერობით ითამაშეს, მოიგეს (15:11) და I ადგილიც გაინაღდეს.

„ლელოს" ბრიგადა.

# ინგლისელ სპორტსმენთა ოქროს მედლები

ინგლისელმა სპორტსმენებმა უკვე მესამედ მოიპოვეს ევროპის პირველობა „მფრინავი ჰოლანდიელებით" რბოლაში. ნორვეგიაში გამართულ შეჯიბრებაზე საიალქნო ფაბრიკის მფლობელმა, 34 წლის ჯ. ოკლეიმ დ. ჰანტთან ერთად უკანასკნელ, მეექვსე რბოლის წინ უკვე გაინაღდა ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი.

ამ შეჯიბრებაზე საბჭოთა სპორტსმენები წარუმატებლად გამოვიდნენ. ლ. რვალოვმა და ვ. კილჩინმა მხოლოდ X ადგილის დაკავება შეძლეს. ღია რეგატაზე რ. ნოვოდერეჟკინი და ო. ულოვკოვი VII ადგილს დასჯერდნენ.

„მფრინავ ჰოლანდიელებით" ევროპის ჩემპიონატზე I-II ადგილები ინგლისელებმა დაიკავეს. მომდევნო ადგილებზე არიან: დანიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ავსტრიის, იტალიის, გდრ-ის, ნორვეგიის, სსრ კავშირის, უნგრეთის, გფრ-ის, შვეციის, შვეიცარიისა და ესპანეთის გუნდები.



ტურნირის მოლოდინში...

ფოტო ა. სააკოვისა.

# მ. კ. ხერგიანი

ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი მთამსვლელი, სპორტის ოსტატი მიხეილ კადირბის ძე ხერგიანი (უმცროსი).

მ. ხერგიანი დაიბადა 1929 წელს მესტიაში. მთებში დაბადებულმა ჭაბუკმა ბავშვობიდან შეიყვარა მამაცთა სპორტი — ალპინიზმი. 1949 წელს სპორტის დამსახურებული ოსტატის ბექნუ ხერგიანის ხელმძღვანელობით იგი იპყრობს მწვერვალ ბანგურიანს. შემდეგ იალბუზი, შხარა, შჩუროვსკის პიკი, უშბა, ტალგარი. 1964 წელს იგი მიხეილ ხერგიანის (უფროსი) ხელმძღვანელობით წარმატებით ძლევს უშბის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელს, რომელიც „უშბის სარკის" სახელითაა ცნობილი. ამ ასვლისათვის იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლით დააჯილდოვეს.

1965 წელი. მ. ხერგიანი ხელმძღვანელობს ქუთაისელთა გუნდს, რომელმაც რთული ტრავერსის გავლა გადაწყვიტა ცენტრალურ კავკასიონზე. 18 დღეღამის მანძილზე მამაცი მთამსვლელები შეუპოვრად უტევდნენ კლდოვან და ყინულოვან ქარაფებს. გავლილია აილამა, ნამყვამი, შხარა, მიჟირგი, პუშკინის პიკი და ბოლოს დიხ-თაუც ემორჩილება მამაცთ. ამ ტრავერსმა პირველი ადგილი დაიკავა და მიხეილ ხერგიანი მეორედ გახდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი.

გულისხმიერი, თავმდაბალი, კეთილშობილი, — ასეთი იყო ჩვენი მიშა და ასეთივე დარჩება დიდხანს ქართველი მთამსვლელების ხსოვნაში.

**მთამსვლელობის რესპუბლიკური ფედერაცია.**

**ა. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბი.**

# ს ა მ ი ლ ი დ ე რ ი

იუგოსლავიის ქალაქ ტიტოვო უჟიცაში უკვე ორი კვირაა მიმდინარეობს დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც იუგოსლავიის, სსრ კავშირის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის და ჰოლანდიის 16 ცნობილი მოჭადრაკე მონაწილეობს.

X ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში წინ იყვნენ ი. ავერბახი, ა. სუეტინი (ორივენი — სსრ კავშირი), ა. მატანოვიჩი (იუგოსლავია) — 6,5-6,5, ს. გლიგორიჩი, ბ. პარმა, ა. ბოგდანოვიჩი (სამივენი — იუგოსლავია) — 5,5-5,5, გ. ტრინგოვი (ბულგარეთი) — 5 (2), ბ. ჩირიჩი (იუგოსლავია), ლ. პახმანი (ჩეხოსლოვაკია), ლ. ფორინტოში (უნგრეთი) — 5-5.

**რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.**

# პოლკოვნიკის ოქროს საათი

თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსანტი ვიყავი. იმ დროისთვის ცხენოსნობა პირველ საგნად ითვლებოდა და თეორიულ მომზადებასთან ერთად, თვითეულს ცხენის მოვლა-პატრონობის სწავლაც გვევალებოდა.

მახსოვს, სწავლის დაწყების პირველსავე დღეს ჯგუფში კაპიტანი შემოვიდა. ტანმაღალი კაცი იყო, ჯერ მოგვესალმა, მერე ეზოში გაგვიყვანა და თავლისკენ გაგვიძღვა. გზადაგზა სიყვარულით ლაპარაკობდა ცხენის თვისებებზე. — ბედაურმა თუ ერთი დაგიჯაბნა, მერე ვეღარ დაიმორჩილებ. გამბედავი მხედარი უყვარს, კაცი, რომელიც ადვილად მიუხვდება ზნესა და ჩვეულებას, ბავშვივით მოფერება უნდა ცხენსო, ამბობდა.

ეს კაცი გამოცდილი პედაგოგი და საუკეთესო ცხენოსანი ვასილ ძიძიგური იყო, რომელმაც არა ერთი და ორი სახელმოხვეჭილი სპორტსმენი აღზარდა, სიკვდილამდე ერთგულად ემსახურებოდა საქართველოში ცხენოსნობის განვითარების საქმეს.

სასწავლებელში ბევრი კარგი ცხენი გვყავდა, მაგრამ ძიძიგურის შავ ბედაურს — „იზვესტიას" ვერც ერთი ვერ შეედრებოდა. პატრონი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, თვითონ ბანდა, ვარცხნიდა, თავად აჭმევდა.

„იზვესტია" თავდავიწყებით უყვარდა სასწავლებლის უფროსს, პოლკოვნიკ ევდოკიმოვს. რა ხერხს არ მიმართა, რას არ შეჰპირდა კაპიტანს, მაგრამ ვერა და ვერ გააცვლევინა ცხენი თავის „მწითურზე".

— სიცოცხლეს მოგცემ, ცხენს კი ვერ დაგითმობ, ხომ იცი, შვილივით გამიზრდიაო, — პასუხობდა ძიძიგური.

1939 წლის გაზაფხული იყო. კვირა დღე. დილაადრიან შევუდექით სამზადისს. კურსანტებს უფლება გვქონდა უქმე დღეებში ქალაქში გაგვესეირნა, ნაცნობ-მეგობრებს შევხვედროდით.

ის იყო მე, სოსელია, გამცემლიძე, გაიდარი, სიველი, კიკნაძე და სხვები ეზოში გავედით, რომ კაპიტანმა „იზვესტია" გამოიყვანა თავლიდან. ყელმოღერილი ცხენი ჩორთით მიჰყვებოდა გზას. უცებ პოლკოვნიკი ევდოკიმოვი და სასწავლებლის კომისარი — პოლკოვნიკი რამაზოვიც გამოჩნდნენ.

ევდოკიმოვმა ნაბიჯს აუჩქარა, გოგმანით მიმავალ „იზვესტიას" წინ გადაუდგა, თავზე შუბლი მიადო, მოეფერა და რამდენჯერმე აკოცა. ძიძიგური თვალს არ აშორებდა უფროსს.

— დაწასნეულებ ამ ცხენის სიყვარულით, — ჩაილაპარაკა ევდოკიმოვმა და ჭიშკარს გახედა, სადაც თივით დატვირთული ფორანი გამოჩნდა. მერე წუთით ჩაფიქრდა და ძიძიგურს პირდაპირ უთხრა:

— რამდენჯერ გითქვამს, თუ დასჭირდა „იზვესტია" იალბუზსაც გადაევლებაო. ჰოდა, დავნაძლევდეთ, თუ ამ ფორანს გადაახტება, ჩემს ოქროს საათს გაძლევ, არა და, ცხენს გამიცვლი.

ძიძიგურმა ჯერ ფორანს გადახედა, მერე ცხენს გადაუსვა კისერზე ხელი.

— გააჩერეთ ფორანი! — ბრძანა პოლკოვნიკმა, — აბა, ვნახოთ.

გაოგნებულნი მივჩერებოდით ძიძიგურს, რომელიც ადგილიდან არ იძვროდა.

— შეეშინდა! — თქვა ერთმა.

— ალბათ! — ჩაილაპარაკა მეორემ.

მაგრამ ძიძიგური უეცრად უზანგზე გასწორდა, სადავე მოსწია და ცხენი ეზოს სიღრმისკენ გააქროლა.

— სად მიდის?

კედელს რომ მიუახლოვდა, მხედარმა ბედაური შეაჩერა, მერე ელვის სისწრაფით შემობრუნდა და ზედ ფორანთან მიაგდო „იზვესტია".

ყველას გმინვა აღმოხდა. ვერც ერთი ვერ მივხვდით, რომ გამოცდილი მხედარი ცხენს ფორანზე გადასახტომად ამზადებდა, სიმაღლეს აჩვევდა.

ძიძიგური უკან გაბრუნდა.

— გაიქცა! — ღიმილით ჩაილაპარაკა უფროსმა და ის იყო რაღაც უნდა ეთქვა რამაზოვისთვის, რომ თქარათქურით მომავალი „იზვესტია" ელვის სისწრაფით გადაევლო ფორანს.

ტაშმა იგრიალა. მხედარი ჩამოხტა, ბედაურს კისერზე მოეხვია და თვალები დაუკოცნა.

ევდოკიმოვი ადგილიდან მოსწყდა. „იზვესტიას" მიუახლოვდა, ხელი გადაუსვა, კისერზე აკოცა და გაბზარული ხმით ჩაილაპარაკა:

— ოცნება ოცნებად დარჩა! სიტყვა რომ დაასრულა, ჯიბიდან ოქროს საათი ამოიღო და ძიძიგურს გაუწოდა, — აიღე, თქვენ ეს ჯილდო დაიმსახურეთ!

ა. გვინჩიძე.

თბილისის სპორტული ბაზრები

ფეხბურთი. „დინამოს" სტადიონი. 28 ივლისი. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი. „დინამო" (თბილისი) — „კაირატი" (ალმა-ათა). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 19 ს. 30 წ.

მთამსვლელობის რესპუბლიკური ფედერაცია და ა. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბი იუწყებიან ცნობილი მთამსვლელის, სპორტის ოსტატ

**მიხეილ კადირბის ძე ხერგიანის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 050027